# შერჩევის სისტემის გაუმჯობესება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის

**მაია აბულაძე, ია გურჩიანი, სოფიკო გურგენაძე**

სამაგისტრო ნაშრომი

ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი

განათლების ადმინისტრირება

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, უმაღლესი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაკა კორძაძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

## მადლობა

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, ქალბატონ მაკა კორძაძეს, ნოშრომზე მუშაობის პროცესში უშუალოდ ჩართულობისათვის, შემოთავაზებული რეკომენდაციებისა და გაწეული დახმარებისათვის.

ასევე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში აქტიურად ჩართულ აკადემიურ პერსონალს, მიუხედავად მათი დატვირთული გრაფიკისა გამონახული დროისა და ღირებული ინფორმაციების გაზიარებისათვის.

მადლობას ვუხდით განათლების ადმინისტრირების პროგრამის, როგორც კურსდამთავრებულებს ისე აქტიურ სტუდენტებს, დროის გამონახვისა და კვლევაში მონაწილეობისათვის. ასევე, ამავე თემაზე მომუშავე წინა ჯგუფის წევრებს, კვლევაზე მუშაობის დაწყებისას მათ მიერ გაზიარებულმა ინფორმაციამ მნიშვნელოვნად იმოქმედა კვლევის ფარგლებში სწორი აქცენტების პოვნაში.

მადლობა, ვიდეო-რგოლის ინტერვენციის იდეის განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის “ჩემი სტუდია”-ს.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს - ქალბატონ ელენე ჯიბლაძესა და ხარისხის უზურნველყოფის სპეციალსტს - ბატონ მიხეილ გიორგაძეს, მუდმივად დახმარების მზაობისა და მყისიერი უკუკავშირისათვის.

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული  სათანადო წესების შესაბამისად.

მაია აბულაძე

ია გურჩიანი

სოფიკო გურგენაძე

## აბსტრაქტი

წინამდებარე პრაქტიკის კვლევა მიზნად ისახავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა მიღების/შერჩევის პროცესში 2022-2023 წლის პრაქტიკის კვლევის შედეგად შემუშავებული და გატარებული ინტერვენციების ძირეულ შესწავლას, შეფასებას და კრიტიკულ ანალიზს, ასევე ამ ინტერვენციების ძლიერი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების აღმოჩენას, რეკომენდაციებისა და ახალი ინტერვენციების შემუშავება/შეთავაზებას.

აღნიშნული ინტერვენციების სიღრმისეულად შესასწავლად განხორციელდა დიაგნოსტიკური კვლევა, რაც ეყრდნობოდა მონაცემთა შეგროვების თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, კერძოდ, ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი 2023-2024 წელს ჩარიცხულ პირველკურსელ სტუდენტებთან, 2023-2024 წლის კომისიის წევრ კურსდამთავრებულებთან და 2023-2024 წლის კომისიის წევრ აკადემიურ პერსონალთან, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ადმინისტრაციის თანამშრომელთან და განსახორციელებელ ინტერვენციებთან დაკავშირებით შემუშავებული კითხვარი გაიგზავნა სამაგისტრო  საფეხურის სტუდენტებთან.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე შერჩევის პროცესის გაუმჯობესებისთვის, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა აპლიკანტების სრულყოფილი ინფორმირებისათვის დამატებითი ინტერვენციების შემუშავების საჭიროება. დიაგნოსტიკური კვლევის მიგნებების საფუძველზე შემუშავდა სამი ძირითადი ინტერვენცია. პირველი ინტერვენციის ფარგლებში მოხდა 2022-2023 წლის პრაქტიკის კვლევაზე მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავებული გზამკვლევის გადახედვა, განახლება და უფრო მრავლისმოცველი გზამკვლევის შემუშავება, რომელიც დაეხმარებათ აპლიკანტებს მიიღონ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ და მოემზადონ პროგრამაზე მიღების პროცესისთვის. მეორე ინტერვენციის ფარგლებში მოხდა აპლიკანტებისთვის სპეციალური ვიდეო-რგოლის შემუშავება, რომელიც დეტალურ და მკაფიო ინფორმაციას მიაწვდის მსურველ აპლიკანტებს პროგრამის შერჩევის პროცესის, მიზნების, შედეგების და დასაქმების სფეროების შესახებ. ასევე, ინტერვენციის

ფარგლებში შემუშავებული იქნა ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ბროშურა, რაც მოიცავს შედარებით ლაკონურ ინფორმაციას პროგრამის სტრუქტურის შესახებ, რომელშიც ჩაშენებულია რეგისტრაციის ლინკი "დაინტერესების ფორმა", სადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებული ნებისმიერი პირი, მთელი წლის განმავლობაში, შეძლებს რეგისტრაციას და მიიღებს ინფორმაციას პროგრამის ფარგლებში არსებულ აქტივობებზე, კერძოდ, ინფორმაციას ღია კარის დღის შესახებ, საჯარო ლექციების თაობაზე, მიღების გამოცხადების თაობაზე და ა.შ.

**საკვანძო სიტყვები:** შერჩევის სისტემა; მიღების კრიტერიუმები; შერჩევის ჰოლისტური მოდელი; გზამკვლევი სტუდენტებისთვის; ვიდეო-რგოლი; ბროშურა;

## Abstract

The purpose of this action research is to conduct fundamental review, evaluation, and critical analysis of the interventions developed and implemented as a result of the 2022-2023 action research in the process of admitting/selecting students for the master's program in Education Administration at Ilia State University in the fall semester of the 2023-2024 academic year, as well as to discover the strengths and components that need to be improved in these interventions, to develop/propose recommendations and new interventions.

To study the mentioned interventions in depth, a diagnostic study was conducted based on qualitative and quantitative data collection methods. In particular, a focus group was conducted with the first-year students enrolled in the 2023-2024 academic year, the graduates of the commission of the 2023-2024 academic year, and the academic staff of the commission of the 2023-2024 academic year, a semi-structured interview with an administrative staff member and a questionnaire developed in regards with the interventions to be implemented was sent to master's students.

In order to improve the selection process for the master's program in Education Administration, the study revealed the need for developing additional interventions to provide complete information to the applicants. Three main interventions were developed based on the findings of the diagnostic study. As part of the first intervention, the guide created by the 2022-2023 action research group was reviewed and updated and a more comprehensive guide was developed to help applicants get complete information about the program and prepare for the program admission process. As part of the second intervention, a special video clip was developed for applicants, which will provide detailed and clear information to prospective applicants about the program's selection process, goals, learning outcomes, and employment areas. Also, within the framework of the intervention, a brochure of the master's program in Education Administration at Ilia State University was developed, which includes relatively concise information about the structure of the program. It includes a registration link, “Interest Form”, where any interested person will be able to register and receive information about the

activities within the program, in particular, information about the open day, public lectures, admission announcement, etc., throughout the year.

**Keywords:** selection process; holistic selection model; student guide; video clip; brochure of the master's program.